მაჩუ-პიქჩუ – „ქალაქი ღრუბლებში“

გსმენია რამე უცნაურ ქალაქზე, რომელიც ღრუბლებზე მაღლა მდებარეობს? წაიკითხე ტექსტი ასეთი ქალაქის შესახებ.

ქალაქი მაჩუ-პიქჩუ ისეთივე **უცნაურია**, როგორიც მისი სახელი. იგი სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, პერუში მდებარეობს, ძალიან მაღალ მთებში. მაჩუ-პიქჩუ ინკების დედაქალაქი იყო. ინკები ინდიელები იყვნენ. მათ ეს ქალაქი მე-15 საუკუნეში ააგეს იმპერატორის საცხოვრებლად.

მაჩუ-პიქჩუ შორიდან უზარმაზარ კიბეს ჰგავს, ოღონდ საფეხურების ნაცვლად შენობებია. ქალაქში 200-მდე ნაგებობა დგას: ინდიელთა ღმერთების ტაძრები, იმპერატორის სასახლე, სათავსოები და სხვა. დიდი ხანია, რაც ქალაქში აღარავინ ცხოვრობს. აშენებიდან 100 წლის შემდეგ ინკებმა ქალაქი მიატოვეს. 400 წლის განმავლობაში მაჩუ-პიქჩუს შესახებ არავინ არაფერი იცოდა. იგი მე-20 საუკუნეში **აღმოაჩინეს**.

მაჩუ-პიქჩუს მშენებლობა 32 წელიწადს გაგრძელდა. ასობით მამაკაცი გაუვალი ტყეების გავლით ზურგით ეზიდებოდა ლოდებს. მაშინ ინკებს ცხენები, ვირები და აქლემები არ ჰყავდათ. ინკი ოსტატები ქალაქს მხოლოდ ქვებით აშენებდნენ. ისინი დიდ ლოდებს ერთმანეთზე ისე აწყობდნენ, რომ კედლები დღესაც კი მყარად დგას და ძლიერ მიწისძვრასაც უძლებს.

მაჩუ-პიქჩუს სანახავად პერუში უამრავი სტუმარი ჩადის. ქალაქი რომ არ **დაზიანდეს**, დღეში 2500-ზე მეტ ტურისტს იქ არ უშვებენ.

გზა მაჩუ-პიქჩუმდე რთული და **სახიფათოა**. მისი გავლა რომ შეძლო, საკმაოდ გამბედავი და **ამტანი** უნდა იყო. გარდა ამისა, ქალაქი **იდუმალებით** არის მოცული. ლეგენდის მიხედვით, ერთ დღეს მისი ყველა მცხოვრები უკვალოდ გაქრა. მიწამ ჩაყლაპა თუ ცამ, არავინ იცის. ამიტომ ტურისტები დიდი ინტერესით სტუმრობენ მას.

შენი აზრით, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რითაც მაჩუ-პიქჩუ ტურისტებს იზიდავს?

კომპონენტი: შეკვამება, **დონე:** 3.3

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რატომ უწოდა ტექსტის ავტორმა მაჩუ-პიქჩუს „ქალაქი ღრუბლებში“?

ა) ქალაქი ვერცერთმა მიწისძვრამ ვერ დაანგრია.

ბ) ქალაქში ინკების ღმერთების ტაძრებია აგებული.

გ) ქალაქი ძალიან მაღალ მთებშია აშენებული.

2 რა მიზნით აშენდა ქალაქი?

ა) ინკების იმპერატორის საცხოვრებლად.

ბ) მიწისძვრებისაგან ხალხის დასაცავად.

გ) ნებისმიერი მნახველის გასაოცებლად.

3 დაახლოებით, რამდენი წლისაა ქალაქი მაჩუ-პიქჩუ?

ა) 400-ზე ნაკლები წლის. ბ) ცნობილი არ არის. გ) 500-ზე მეტი წლის.

4 რითი იყვნენ გამორჩეულნი ინკი ოსტატები?

ა) ლოდების ერთმანეთზე დაწყობით მყარ შენობებს აგებდნენ.

ბ) მშენებლობას ძალიან დიდ დროს უთმობდნენ.

გ) სხვადასხვა სახის სათავსოებს ლოდებისგან აშენებდნენ.

5 ქალაქი იდუმალებით არის მოცული, რადგან არავინ იცის:

ა) რატომ დატოვა ხალხმა იგი მოულოდნელად.

ბ) რატომ ეზიდებოდნენ ოსტატები ლოდებს ზურგით.

გ) როდის ააშენეს ინკებმა ქალაქი მაჩუ-პიქჩუ.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. მაჩუ-პიქჩუ ერთი **უცნაური** ქალაქია.
   ა) უბრალო. ბ) უჩვეულო. გ) უცნობი.

2. ქალაქამდე ასასვლელი გზა **სახიფათოა.**
   ა) საინტერესოა. ბ) სასიამოვნოა. გ) საშიშია.

3. გზის გავლა რომ შეძლო, **ამტანი** უნდა იყო.
   ა) გამძლე. ბ) მამაცი. გ) მოხერხებული.

4. **იდუმალი** არის ის, რაც:
   ა) ამოუცნობია. ბ) მნიშვნელოვანია. გ) სახიფათოა.

2 შეაერთე სიტყვები და მათი განმარტებები ხაზებით. გაითვალისწინე, ორი განმარტება ზედმეტია.

აღმოჩენა

დაზიანება

1. სხვადასხვა მიზეზით რაღაცის გაფუჭება.
2. შიგნიდან გარეთ რაღაცის წამოღება.
3. არსებულის ნაცვლად სხვა რაღაცის გამოყენება.
4. იმის მიგნება, რაც მანამდე ცნობილი არ იყო.

3 რომელი <u>არ არის</u> მსგავსი მნიშვნელობის სიტყვების რიგი?

ა) გამბედავი, თამამი, გულადი, მამაცი.

ა) იოლი, რთული, ძველი, ახალი.

გ) მყარი, მკვრივი, მაგარი, მტიცე.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ქალაქი ისეთივე უცნაურია, ---------- მისი სახელი.

   (როგორც / როგორიც)

2. ინკები ზურგით ეზიდებოდნენ ქვებს, ---------- ცხენები არ ჰყავდათ.

   (რათა / რადგან)

გრამატიკა

2 დაწერე მრავლობით რიცხვში.

1. საუკუნე – ---------- .
2. სასახლე – ---------- .
3. კიბე – ---------- .
4. დღე – ---------- .

3 დაწერე შემოკლებით ნიმუშის მიხედვით.
ნიმუში: მეოცე – მე-20.

1. მეთხუთმეტე – ---------- .
2. მეოთხასე – ---------- .

4 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

[X] *საცხოვრებლათ.*	[ ] *საცხოვრებლად.*
1. [ ] მე-100.	[ ] მე-100-ე.
2. [ ] ეზიდებოდენ.	[ ] ეზიდებოდნენ.
3. [ ] ნაცვლად.	[ ] ნაცვლათ.

წერა

1 ტექტის გააზრებისთვის დასმული კითხვებისა და შენი პასუხების მიხედვით მოკლედ, სულ ხუთი წინადადებით, ჩამოაყალიბე ტექსტი „მაჩუ-პიქჩუ“.

მაგალითად, დაიწყე ასე:

ტექსტის ავტორმა მაჩუ-პიქჩუს უწოდა ,,ქალაქი ღრუბლებში“, რადგან ეს ქალაქი ––––––
––

(ეს წინადადება დაასრულე პირველი კითხვის სწორი პასუხის მიხედვით).

––

––

––

2 შემავჯამებელი ტექსტის ბოლოს დაწერე:

ა) შენი აზრით, რა შეიძლება ყოფილიყო მაჩუ-პიქჩუს მიტოვების მიზეზი.
ბ) ისურვებდი თუ არა ამ ქალაქის ნახვას და რატომ.

––

––

––